სისხლის სიბლანტე, როგორც ავადმყოფობის დიაგნოსტიკური მეთოდი. სისხლის სიბლანტის განსაზღვრის ვისკოზიმეტრები მედიცინაში

მომხსენებელი: ნიკოლოზ გოქაძე

თანაავტორი: თამაზ მძინარაშვილი

ელ-ფოსტა: nikoloz.gokadze408@ens.tsu.edu.ge

ფიზიკის დეპარტამენტი, ზუსტი და

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ორგანიზმის ფუნქციონირების გამაერთიანებელ სისტემას წარმოადგენს სისხლი, რომელიც უჯრედების მოქმედებისათვის აუცილებელ ნივთიერებებს აწვდის და იმავდროულად გამოაქვს ცხოველქმედების ნარჩენები. ამდენად სისხლის პლაზმა ის კონკრეტული ადგილია, სადაც ხდება აღნიშნული პროცესები. სისხლის სიბლანტის ცვლილება ძირეულად მოქმედებს და ცვლის მთელ ორგანიზმში მიმდინარე პროცესებს და რიგ შემთხვევებში მძიმე დაავადებებს იწვევს. სისხლის სიბლანტის განსაზღვრისათვის გამოიყენება ვისკოზიმეტრი.